№10

დეკემბერი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

„ახალი წლის დღეები საქართველოში“ ბოლნისიდან დაიწყო

გვ:2

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, საიუბილეო წელი, სასულიერო სკოლამ ღონისძიებით მიულოცა

გვ:3

ბოლნისის პირველი საჯარო სკოლა 80 წლისაა

გვ:3

„ახალი წლის დღეები საქართველოში“ ბოლნისიდან დაიწყო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, „ახალი წლის დღეები“ 24 დეკემბრიდან 13 იანვრამდე, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში აღინიშნება. ღონისძიებებმა სტარტი, ქვემო ქართლის რეგიონში, ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან აიღო.

ღონისძიება, ქალაქ ბოლნისში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო საკარნავალო მსვლელობა, საშობაო ბაზრობა, ადგილობრივი ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ტრადიციული წესით ადგილზე დამზადდა ცხელი გლინტვეინი და შოკოლადი. პატარებისთვის სპეციალურად მოწყობილ გასართობ სივრცეში, ანიმატორებმა და ზღაპრის გმირებმა წარმოდგენები გამართეს, თოვლის ბაბუამ კი საახალწლო ტკბილეულით დაასაჩუქრა.

აქტივობები ისე იყო გაწერილი, რომ იქ მისულ სტუმრებს მთელი დღის განმავლობაში მოდუნების საშუალება არ მიეცათ. დიდი და პატარა მოახლოებულ ახალ წელს ულოცავდნენ ერთმანეთს და საგანგებოდ გაკეთებულ დეკორაციებთან სამსახსოვრო ფოტოებს იღებდნენ.

პრემიერის ინიცირებული ღონისძიების დასკვნით ნაწილში, ბოლნისელებს დამდეგი შობა-ახალი წელი ქართული შოუ ბიზნესის ვარსკვლავებმა დათუნა სირბილაძემ, ანი კეკუამ, თიკა მახალდიანმა და რუსა მორჩილაძემ მიულოცეს და სპეციალურად დამონტაჟებულ სცენაზე ყველასათვის საყვარელი ჰიტები შეასრულეს.

ღონისძიების ფარგლებში გაწერილი აქტივობები იმაზე დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე დაანონსებული იყო. ნოდარიკო ხუციშვილის ბენდის გამოსვლის დასრულებისთანავე, ბოლნისის თავზე ულამაზესი ფოიერვერკი განათდა.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

- პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დამდეგ შობა-ახალ წელს, ბოლნისი სადღესასწაულო განწყობით ხვდება. მთელი დღის განმავლობაში ჩვენთან ახალი წლის აღსანიშნავად არაერთი გასართობი ღონისძიება გაიმართა, ეს ლამაზი დღე კი გრანდიოზული კონცერტით დაგვირგვინდა. მსურს, პრემიერ-მინისტრს, ამ საახალწლო ღონისძიებისთვის, დიდი მადლობა გადავუხადო. გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, 2023 წელს თითოეული ჩვენგანისთვის, ბედნიერება, ხვავი და ბარაქა მოეტანოს.

ანი კეკუა, მომღერალი:

- ძალიან მიხარია და მივესალმები ამ ინიციატივას, რომ მომღერლებს გვეძლევა შანსი მოვესიყვარულოთ ჩვენს მსმენელს, ადამიანებს გავუხალისოთ ცხოვრება. გილოცავთ 2023 წლის შემობრძანებას, ბედნიერების, ჯანმრთელობის და დიდი წარმატებების საწყისი იყოს ეს წელი თითოეული თქვენაგანისთვის.

ტრადიციული, საახალწლო ნობათი ხანდაზმულებს

ტრადიციულად, ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს საახალწლო ნობათები ურიგდებათ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსთან, ეროდი უგრეხელიძესთან ერთად, მოწყვლადი კატეგორიის 162 ოჯახს საახალწლო ნობათები გადასცა და დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ნობათები გადაეცათ ასევე, ,,შინ მოვლის სერვისით" მოსარგებლე მარტოხელა ხანდაზმულ ბენეფიციარებსაც. ნობათებში არსებული პროდუქტების: კვერცხი, ქათამი, ნამცხვარი, ზეთი, ლიმონათი, კარაქი და ტკბილეულის ჯამური ღირებულება 60 ლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მთელი წლის განმავლობაში, უზრუნველყოფს ამ ოჯახების ყოველდღიურ კვებას.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია აგრძელებს ტრადიციას და მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებს საახალწლო ნობათს გადასცემს. წელს საახალწლო ნობათი 162-მა ოჯახმა მიიღო. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ პროგრამებს და ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად ვიზრუნოთ შეჭირვებულ ოჯახებსა და მოხუცებზე. მსურს, დამდეგი შობა-ახალი წელი თითოეულ ბოლნისელს მივულოცო, ჯანმრთელობა ხვავი, ბარაქა და ბედნიერება ვუსურვო.

კომუნალური მეურნეობის სამსახურის თანამშრომლებს საახალწლო ნობათები გადაეცათ

ბოლნისის სისუფთავეზე კომუნალური მეურნეობის სამსახურის თანამშრომლები ზრუნავენ. ისინი დაუღალავად შრომობენ, რომ მათი სამუშაო ტერიტორია სუფთა და სანიმუშო იყოს. როგორც თავად ამბობენ, ხელმძღვანელობის მხრიდან ყურადღებას ყოველთვის გრძნობენ, სამსახურმა ტრადიციას არც წელს უღალატა, 92 თანამშრომელს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და საშობაო ნობათები გადასცა, რომლის შესაძენადაც თანხა საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის, ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროფორგანიზაციის საწევრო დანაზოგიდან გამოიყო.

,,შვიდი წელია მეეზოვედ ვმუშაობ, ვცდილობ ტერიტორია, სადაც ვმუშაობ, ყოველთვის სუფთა იყოს, ვთვლი, რომ ყველა საქმე დასაფასებელია, ძალიან სასიხარულოა, როცა შენს შრომას აფასებენ, ადამიანების გახარება მცირე საჩუქარსაც შეუძლია, ნობათი კი, რომელსაც ყოველწლიურად გადმოგვცემენ, საახალწლო სუფრისთვის გვადგება", -აღნიშნა დასუფთავების სამსახურის თანამშრომელმა სვეტლანა კაცაძემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, საიუბილეო წელი, სასულიერო სკოლამ ღონისძიებით მიულოცა

„ლექსებით აგიხსნით სიყვარულს და იხარებს სული ჩვენი"

– ამ ღონისძიებით, იოანე ბოლნელის სახელობის სკოლამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს დაბადებიდან 90 და, აღსაყდრებიდან 45 წლისთავი აღნიშნა. შემოქმედებითი საღამო ბოლნელი ეპისკოპოსის, მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით გაიმართა, სადაც სასულიერო სკოლის მოსწავლეებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლი „თამარიონი", სუხიშვილების მოცეკვავეები და სალომე წიქორიძე.

ლიტერატურული კომპოზიცია ბოლნისის კულტურის სახლში გაიმართა, სადაც უწმინდესის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მძიმე გზა, მოზარდებმა ლექსით, ქორეოგრაფიით, სიმღერითა და გალობით შეასრულეს. ღონისძიების ბოლოს კი, მამა პეტრე კვარაცხელიამ, საქართველოს მწყემსმთავარს მადლობა გადაუხადა, პატარა ჩოხოსნებმა კი, სცენაზე ქართული დროშა გაშალეს.

მეუფე ეფრემი, ბოლნელი მთავარეპისკოპოსი:

-მთელი გულითა და დიდი სიყვარულით, კიდევ ერთხელ მივულოცავ ჩვენს ღვაწლმოსილ პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს აღსაყდრებიდან 45, და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს. მთელი საქართველო უერთდება ამ მილოცვას. უწმინდესმა მართლაც თავისი დიდი ღვაწლით, ღვთისა და ერის სიყვარულით მოიტანა მძიმე ჯვარი დღემდე. ნამდვილად დიდია მისი ამაგი ეკლესიის, ღვთისა და ერის წინაშე, ამიტომაც მადლიერია ჩვენი საზოგადოება.

წარმატების საწინდარი იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც ვემსახურებით

ქართული კულტურული მემკვიდრეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ზეპირად გადმოცემული სიმღერა. როგორც ხშირად ამბობენ, ფოლკლორი ხალხური სიბრძნეა, იგი არ არის მხოლოდ ბგერათა ჰარმონია, მასში იკითხება შემსრულებელი ხალხის ზნეობა, მსოფლმხედველობა, წარმოდგენები.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, ,,ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022“ მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოში. ფესტივალში მონაწილეობდნენ ფოლკლორული ანსამბლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ერთ-ერთი მათგანი კი ანსამბლი ,,ბოლნელა“ გახლდათ. ანსამბლის წევრები საკუთარ ქალაქს გამარჯვებულები დაუბრუნდნენ. გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულსა და გამოცდილებას ანსამბლის ლოტბარი - ნანა ვალიშვილი და მენეჯერი - მზეო მეფარიშვილი გაგვიზიარებენ.

- მოგესალმებით, ქალბატონო ნანა! ინტერვიუ სიახლეებით გვინდა დავიწყოთ - გილოცავთ საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალზე გამარჯვებას. როგორი იყო გზა პირველი ტურიდან გამარჯვებამდე და, როგორი შეგრძნება იყო, როდესაც გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდით?

- მადლობა მოლოცვისთვის და დაინტერესებისთვის. საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩაატარა. დებულების თანახმად, ფესტივალი სამ ტურად მიმდინარეობდა და მასში ფოლკლორის ყველა დარგი მონაწილეობდა: ხალხური მუსიკა, ტრადიციული გალობა, ქორეოგრაფია, ზეპირსიტყვიერება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. პირველი ტური გაზაფხულზე გაიმართა. დახურულ მოსმენაზე ანსამბლებს სამი სიმღერა უნდა წარედგინათ ჟიურისთვის. მეორე ტურში გადასვლამ ძალიან გაგვახარა, რადგან ამ ტურის ყველა მონაწილე ფესტივალის ლაურეატია. თუმცა, როგორც დასკვნით ტურში აღმოჩნდა, ჟიურიმ გამარჯვებულთა შორის “ბოლნელაც” დაასახელა, რაც მართლაც დიდი გამარჯვებაა - საუკეთესოთა შორის დავსახელდით. მადლობა ჟიურის და მადლობა ბოლნისის მუნიციპალიტეტს ხელშეწყობისთვის.

- დიდი პასუხისმგებლობაა იყო ანსამბლის წევრი, თუმცა ორმაგად რთულია, როდესაც ლოტბარი ხარ, მოგვიყევით, ფესტივალის ფარგლებში, რა გამოწვევების წინაშე დადექით?

- ზოგადად, დიდი პასუხისმგებლობაა ანსამბლის ხელმძღვანელობა და მით უმეტეს, ისეთ მრავალეროვან რეგიონში, როგორიც ქვემო ქართლია და კერძოდ, ბოლნისია. აქ გაჟღერებული ყოველი ქართული სიტყვა თუ სიმღერა, შენი ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისთვის ჩაგდებული მარცვალია. თუმცა, ვფიქრობთ, სრულიად საქართველოს მასშტაბით გამართულ ფესტივალზე, გამომსვლელთა შეფასებისას, მაინც რეპერტუარსა და საშემსრულებლო ხარისხს ენიჭება უპირატესობა.

როგორც ეთნომუსიკოლოგმა, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ფესტივალზე აშკარად შეინიშნებოდა ახალგაზრდული და საოჯახო ანსამბლების სიმრავლე, რაც კეთილსაიმედოობის გარანტია. ასევე საკმაოდ ბევრი იყო წარმოდგენილი ქალთა მონაწილეობით და ასევე შერეული ანსამბლები. რაც ასევე მნიშვნელოვანია - ქართველ ქალს მუდამ ჰქონდა თავისი სათქმელი ქართულ ფოლკლორულ ყოფაში, მარტოსაც და მამაკაცებთან ერთადაც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აღმოვჩნდით და მადლობა ღმერთს, გავახარეთ ჩვენი გულშემატკივრები.

- რა პროგრამით წარსდექით ფესტივალზე?

- ჩვენ ვეცადეთ, ძირითადად ქართლური სიმღერები შეგვერჩია და გაამართლა კიდეც, რადგან ეს სიმღერები ერთი საუკუნის წინ, გიორგი სვანიძემ ჩაიწერა და თითქმის აღარავინ ასრულებდა. მართალია, “ბოლნელას” წევრები წარმოშობით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან (რაჭა, გურია, იმერეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო, ჯავახეთი...) და ჩვენც ყველა კუთხის სიმღერა გვაქვს რეპერტუარში, მაგრამ რადგან ქართლში ვართ, ქართლურს უპირატესობას ვანიჭებთ და ამჯერადაც, ამ მოტივით შევარჩიეთ საკონკურსო სიმღერები.

- ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში, ზეპირი ტრადიციით გადმოცემულ სიმღერას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორ შეაფასებთ ფესტივალს და ფიქრობთ, რომ ფოლკლორის პოპულარიზაციისთვის ასეთი ღონისძიებები მნიშვნელოვანია ?

- რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ფოლკლორი ცოცხალი ორგანიზმია: როგორც წესი, დროის ცვლილების შესაბამისად, იცვლება ფოლკლორული ყოფა, აზროვნება, რელიგია... ასეა დღესაც. ძველად, -თუნდაც ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ, - ფოლკლორი ის იყო, რაც ზეპირად ვრცელდებოდა, ანონიმური იყო - ავტორს, პირველმთქმელს თითქმის არავინ იმახსოვრებდა - და ამიტომ ვარიანტებიც უხვად იქმნებოდა (როგორც მუსიკაში, ასევე ზეპირსიტყვიერებასა და ქორეოგრაფიაში). ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა: 21-ე საუკუნე ინტერნეტკომუნიკაციების საუკუნეა და დღეს, უკვე ლაპარაკი ანონიმურობაზე, თითქმის შეუძლებელია - ყველას ყველაფერი ხელისგულზე უდევს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ფოლკლორი ცოცხლობს იმგვარ ყოფაში, როგორი მოცემულობაც დღეისათვის გვაქვს - ოჯახებში და სცენაზე, თუმცა, აქ ერთი საშიშროებაა - არ მოხდეს ფოლკლორის და მასკულტურის აღრევა და არატრადიციული, უგემოვნებო ნიმუშების შექმნა-დამკვიდრება. ამიტომ, თუ ტრადიციულსა და ღირებულს პოპულარიზაცია არ გაეწია, ასეთი ფესტივალების სახით, არავინ იცის, მომავალში რა შეგვრჩება ხელთ. მადლობა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ფოლკლორზე ზრუნვისა და მხარდაჭერისთვის.

- როგორც მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, რა ღონისძიებებს მიმართავთ, რათა ხალხური საშემსრულებლო ხელოვნების აქტუალობა არ დაიკარგოს და რამდენად გიწყობენ გუნდის წევრები ამაში ხელს ?

- ჩვენი მხრიდან, ფოლკლორულ-საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ალბათ იმაში ვლინდება, რომ არ ვერიდებით ჩვენი ხელოვნების პოპულარიზაციას - შინ თუ გარეთ. გოგონები მუდამ დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით ხვდებიან ყოველ შემოთავაზებასა თუ წამოწყებას. პანდემიამდე მიწვეული გახლდით ლიეტუვაში, ტრადიციულ ფოლკლორულ ფესტივალზე „სკამბა, სკამბა, კანკლიაი“, სადაც ღირსეულად წარვადგინეთ ჩვენი ქვეყანაც და ტრადიციული მრავალხმიანობაც. საქართველოს შიგნით ხშირად ვმონაწილეობთ მუნიციპალურ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში. 27 მაისს, ანსამბლის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გავმართეთ სოლო კონცერტი ბოლნისის კულტურის ცენტრში, ხოლო შემოდგომაზე, ტრადიციული მრავალხმიანობის მე-11 საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში - კონსერვატორიის მცირე დარბაზში...

- როგორ დაიწყო თქვენი და „ბოლნელას“ ,,ურთიერთობა“, რამდენი ხანია ანსამბლ “ბოლნელას” ლოტბარი ხართ ?

- “ბოლნელას” ლოტბარი, თუ არ ვცდები, 2014 წლიდან ვარ.

როგორც იცით, დამაარსებელი და ხელმძღვანელი დეკანოზი ბასილ ახვლედიანია, რომელმაც მთხოვა თანამშრომლობა. 2013 წელს გავეცანი ანსამბლის წევრებსა და მათს შემოქმედებით შესაძლებლობებს, გარკვეული საპრეზენტაციო პროგრამაც მოვამზადეთ და შემდეგი წლიდან, უკვე ოფიციალურად, ლოტბარად დავინიშნე.

- რა სამომავლო გეგმები გაქვთ ანსამბლთან ერთად ?

- ჩვენი დიდი სურვილია, მოვაწყოთ საკონცერტო ტურნე საქართველოს მუნიციპალიტეტებში. ასევე გვინდა, განვახორციელოთ პანდემიით შეწყვეტილი გასტროლი საერთაშორისო ფესტივალზე “ბალტიკა”... დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

როგორც ჩვენთან საუბარში მზეო მეფარიშვილმა აღნიშნა, მათი წარმატების საწინდარი იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც ემსახურებიან.

,,ჩვენი წარმატების საწინდარი იმ საქმის სიყვარულია, რომელსაც ვემსახურებით. ჩვენ კარგად გვესმის ტრადიციული ხელოვნების, ხალხური მუსიკის მნიშვნელობა ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, მისი განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის. ამას გარდა, ალბათ, პროფესიონალური მიდგომა რეპერტუარისა და შემსრულებლობის პრიცნიპებისადმი. ჩვენ ვითვალისწინებთ მსმენელის ინტერესებს და ამავდროულად, მასის გემოვნების ამაღლებაზეც ვზრუნავთ. ვცდილობთ, სწორად დავანახოთ და მივაწოდოთ ფოლკლორის სიღრმე, მრავალფეროვნება და სიდიადე. ანსამბლში განსხვავებული შესაძლებლობის გოგოები არიან, ყველა ინდივიდუალიზმით გამოირჩევა, თუმც, მათ მთავარი რამ, ფოლკლორისადმი სიყვარული და სწორი მიდგომა აერთიანებთ“. - აღნიშნა მზეო მეფარიშვილმა.

ადრე ჩვევად მქონდა კალმით სიარული, ახლა კი პირდაპირ შეიძლება რაიმე ლამაზ სურათს დავხედო და ვაწკაპუნებ ,,კლავიშებს“, საოცარი ვინმე ყოფილა, ეს ,,მუზა“

ყველას გვსმენია გამოთქმა : ,,ხელოვნება და ლიტერატურა“, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც და კავშირი ზედმეტია, რადგან ხელოვანის ნიჭიერება ვერ თავსდება ჟანრსა თუ დარგში. ჩვენი რესპონდენტი, რეჟისორი თეა შეყილაძეა, მას სცენის მტვერიც უგემია და ფურცელზე სტრიქონებად გადატანილი განცდების სიმძაფრეც, დღეს კი ვეცდებით, თეას ეს უკანასკნელი მხარე უკეთ გაგაცნოთ და ცოტა ხნით, მისი ლექსების სტრიქონებს შორის ჩავიკარგოთ.

-მოგესალმებით თეა, რა ასაკიდან დაიწყეთ წერა?

-მოგესალმებით, ლექსებს მე-4 კლასიდან ვწერ, მაგრამ ბოლო სამი წელი, ანუ პოსტკოვიდური პერიოდი, ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა, უფრო მეტად მსტუმრობს ,,მუზა“.

-როგორი ბავშვი იყავით, გაიხსენეთ სკოლის პერიოდი, ალბათ, ლიტერატურა გამორჩეულად გიყვარდათ, გქონდათ თუ არა საყვარელი ლექსი, რომელიმე პოეტის შემოქმედებიდან ?

-ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი. საბავშვო ბაღში პატარა ანსამბლსაც ვდირიჟორობდი. სკოლაც ძალიან მიყვარდა, თითქმის ყველა პედაგოგთან ვმეგობრობდი. განსაკუთრებულად ჰუმანიტარული საგნები მიყვარდა - ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. სიამოვნებით ვიხსენებ იმ პერიოდს, როცა ქიმიის გაკვეთილზე ქალბატონი ნათელა გრიგოლია დაფასთან გამომიყვანდა და საკუთარ ლექსებს მაკითხებდა. ხომ პარადოქსია, ქიმია და პოეზია?! მაგრამ მართლა მასე იყო. ყოველთვის ვთვლიდი, რომ გალაკტიონი მუზების მეფე იყო. ამოჩემებულად მიყვარდა მისი - "მერი" და ირაკლი აბაშიძის - "ო ენავ ჩემო". ანა კალანდაძეს კი პოეზიის დედოფლად ვთვლი.

-გვიამბეთ სტუდენტობის პერიოდზე, ხშირად, შემოქმედებითი აღმაფრენის ეტაპი, სწორედ სტუდენტობისას დგება, ამ ასაკში მეტად მგრძნობიარეები და ემოციურები ვართ ადამიანები. ხომ ვერ გაიხსენებთ სტუდენტობის დროინდელ ჩანაწერებს, დღიურს, მაშინაც თუ წერდით ლექსებს ?

-ულამაზესი წლები იყო, გამიმართლა. პირველივე წელს მოვხვდი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. ბატონი ლერი პაქსაშვილისა და ბატონი გია კიტიას ჯგუფში. იყო ბევრი ემოცია, სიახლე, სურვილებისა და ოცნებების ახდენა. ამ პერიოდში უფრო ჩანახატებს, პიესებსა და პატარ-პატარა ნოველებს ვწერდი, ლექსებს ნაკლებად. უნივერსიტეტი 1997-ში დავამთავრე და იმავე წელს გავემგზავრე გერმანიაში სასწავლებლად, სადაც სამი წელი ვცხოვრობდი და ვსწავლობდი ქალაქ ქემნიცის უნივერსიტეტში, მუსიკათმცოდნეობისა და პოლიტმეცნიერების ფაკულტეტზე. (აქაც პარადოქსი - მუსიკა და პოლიტიკა) იქ მეორე შემოქმედებითი სუნთქვა გამეხსნა და ვწერდი სულ მონატრებაზე, განშორებასა და სიშორეზე. მაშინ ინტერნეტი არ იყო და მონატრებაც, უფრო მძაფრდებოდა.

-გაქვთ თუ არა საყვარელი ადგილი წერისთვის, სადაც მუშაობა გიადვილდებათ, ან გარემო, რომელიც შთაგაგონებთ, რომ თქვენი ემოციები და განცდები ფურცელზე ლექსებად გადმოიტანოთ?

-არა, როცა მუზა მეწვევა, სადაც არ უნდა ვიყო და რა ვითარებაშიც, იქ ვწერ. ძალიან ხშირად გავუღვიძებივარ მუზას გვიან ღამით. ადრე ჩვევად მქონდა კალმით სიარული, ახლა კი პირდაპირ შეიძლება რაიმე ლამაზ სურათს დავხედო და ვაწკაპუნებ ,,კლავიშებს“. საოცარი ვინმე ყოფილა ეს ,,მუზა“ , სულ მაოცებს.

-როგორც ვიცი, პროფესიით რეჟისორი ბრძანდებით, თქვენი პოეზიისადმი ასეთი სიყვარული რაიმე კონკრეტულ ფაქტს ხომ არ უკავშირდება? ან ხომ არ გყავთ საყვარელი პოეტი, რომელიც თქვენი ინსპირაციის წყარო გახდა ?

-ალბათ, კი. ხელოვან ხალხს ცოტა სხვანაირი ხედვა გვაქვს. ამ ბოლო ხანებში ისეთი გულჩვილი გავხდი, შეიძლება კარგმა ლექსმა, ცეკვამ, სიმღერამ ამატიროს. ,,ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“ - ტიციან ტაბიძის არ იყოს.

-თუ შეგიძლიათ, რომ გაიხსენოთ პირველად როდის და ვის წაუკითხეთ თქვენი ლექსი ?

-პირველი ლექსი მამას წავუკითხე (ბავშვობაში) გაეცინა და მითხრა - ამ ლექსს რომელიმე საბავშვო კრებულიდან გადაწერდიო. ჩემთვის ეს ისეთი შეფასება იყო, ერთი თვე ბედნიერებისგან დავფრინავდი, მახსოვს. ლექსი გაზაფხულზე იყო, ძალიან ბავშვური და ლაღი.

-თუ გაქვთ საყვარელი თემატიკა, რომელზეც ყველაზე ხშირად წერთ?

-ყველაფერზე ვწერ, გააჩნია ჩემი მუზა რა ხასიათზეა.

-რომელიმე ლექსს ხომ არ გამოარჩევდით საკუთარი შემოქმედებიდან ?

-განსაკუთრებით მიყვარს ერთი ფრაზა -
„ჩუმად მივყვები ცხოვრების ბილიკს
და ვცდილობ, არსად დამიცდეს ფეხი“.
მწერლისთვის თავისი შემოქმედებიდან რაიმეს გამორჩევა ისეთივე რთულია, როგორც მშობლებისთვის შვილების, თუმცა ერთ-ერთ ლექსს შემოგთავაზებთ.

- დღეს მინდა გითხრა - " მიყვარხარ"
ხვალ რა იქნება - რა ვიცი?!
როცა შენ ჩემთან არა ხარ,
მენატრები და განვიცდი...
დღეს მინდა მოსვლა შენამდე
ხვალამდე ვეღარ დავიცდი,
შენ თუ დროებით წახვედი,
მე სამუდამოდ დაგიცდი...
დღეს მინდა შენთვის ვიმღერო
ავახმიანო - გიტარა,
ხვალ, იქნებ სევდამ წამიღოს,
სულ ვერაფერი გითხრა, რა...
დღეს მინდა გაგიღიმილდე,
ხვალ იქნებ შევკრა - კოპები,
მინდა, იმდენი დავლიო
შემოვიკრიბო - ლოთები.
იცი, მომწყინდა ურჩობა,
იქნება ცოტა - დაგითმო?!
დღეს ზუსტად ვიცი - "მიყვარხარ"
ხვალ რა იქნება - არ მკითხო...

-ხომ არ გიფიქრიათ, ლექსების კრებულის გამოცემაზე ?

-კი, ვფიქრობ. ძალიან მინდა პატარა, მოკრძალებული, ჩანახატებიანი ლექსების კრებულის აკინძვა. იმედია, შევძლებ.

-რას ურჩევთ ახალგაზრდებს, დამწყებ მწერლებს , რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დასახული მიზნები აისრულონ და მათში არ ჩაიკარგონ ?

-ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის, მაგრამ გული მწყდება კითხვა ინტერნეტმა ჩაანაცვლა. ახალგაზრდებს ვურჩევდი იკითხონ, წერონ, ითამაშონ, ივარჯიშონ და რაც მთავარია, ხმამაღლა ისაუბრონ თავიანთ განცდებზე, სურვილებზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე. იყვნენ ჰუმანურები, მიზანდასახულები და აუცილებლად, დაუფასდებათ.

-დამდეგ ახალ წელს რას უსურვებთ ბოლნისს, ბოლნისელებსა და სრულიად საქართველოს ?

-მინდა, დამდეგი ახალი წელი მივულოცო ჩემს საყვარელ ბოლნისსა და ბოლნისელებს, სრულიად საქართველოს. ვუსურვო ჯანმრთელობა და მშვიდობა. ყველა ოჯახში ხვავი, ბარაქა და სიმშვიდე სუფევდეს. უფლის წყალობა სრულიად სამყაროს. მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ!

წელს რაღაც ადრიანად მეწვია
ზამთარი...
ასაკმაც თავისი დამატყო - ნაოჭი,
რა ცუდი ყოფილა, შენ თავთან კამათი
წუხელ მთელი ღამე ფიქრებთან
ვდაობდი...
წლები გაფრენილან დარი თუ ავდარი
სულ თან წაუღია მტყუანი თუ მართალი
გაქრა ის ბავშვობა- დასრულდა ზღაპარი,
ამ ქვეყნად განვლილი წლებია
მთავარი...
აღარ დაბრუნდება, ის რაც უკვე იყო,
ვეღარც ფეხშიშველი მოირბენ
აპრილებს...
ვერაფრს გაუგებ თავნება ამინდებს
ხან თითქოს მზეა და, ხან თოვას
აპირებს...
არვიცი... არიცი... არ გიცდი...არ
მიცდი...
ახლოს ხარ... შორსა ხარ...მე მაინც
განვიცდი....
ალბათ გავიზარდე?! ან ისევ ბავშვი
ვარ?!
შენც თითქოს მოდიხარ, მაგრამ სულ
გზაში ხარ...
წელს თითქოს ადრიანად მეწვია
ყინვებიც,
თმებში ჩამაბნია ქაღარა - ფიფქებად,
დროზე თუ არ უხმე სიყვარულს, იცოდე,
წავა და გაქრება უხილავ - ფიქრებად...
- და მაინც რა არის ამქვეყნად
მთავარი?!
წელს მართლაც ადრიანად მოვიდა
ზამთარი...

თეა შეყილაძე

მარიამ ონიანი

ბოლნისის პირველი საჯარო სკოლა 80 წლისაა

80 წლის ისტორიის მქონე ბოლნისის პირველმა საჯარო სკოლამ, საიუბილეო თარიღი აღნიშნა. ღონისძიება სკოლის მომღერალთა გუნდმა „მრავალჟამიერით“ გახსნა, რასაც სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები მოჰყვა, საიუბილეო თარიღი სკოლას, ყოფილ და მოქმედ პედაგოგებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერმაც მიულოცა და სიმბოლურად „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.

ამასთან დაკავშირებით, სკოლის ფოიეში „დროის კაფსულა“ დაიდგა, სადაც მსურველებმა თავიანთი სურვილები მოათავსეს, რის შემდეგაც დაილუქა და 20 წლის შემდეგ, 100 წლის იუბილეზე საზეიმოდ გაიხსნება.

ღონისძიება სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართა, მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლონგინოზ გასანოვი და ადგილობრივი რესურსცენტრის ხელმძღვანელი იამზე სვანიძე.

დიპლომები, მედლები და სიგელები, მცირე ასაკში მიღწეული წარმატებები



სამეჯლისო, სპორტული და ქართული ნაციონალური ცეკვები, ფორტეპიანო, სიმღერის გუნდი, თეატრი, ქადრაკი და ხატვის წრე, ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრის და სკოლის მეწარმეობის ჯგუფის წევრი, - ეს იმ აქტივობების არასრული ჩამონათვალია, რასაც 13 წლის ანი გრძელიშვილი ეწევა. ანის სხვადასხვა ხარისხის დიპლომი და თასი აქვს მიღებული, არის სოლისტი და საბავშვო სპექტაკლის მთავარი როლის შემსრულებელი, ამზადებს აქსესუარებს. მიუხედავად გადატვირთული დღის რეჟიმისა და მცირე ასაკისა, უყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, კერძების მომზადება და შესაძლებელია საბავშვო კულინარიულ პროექტშიც ვიხილოთ. ამჟამად წერს და წიგნის გამოცემასაც გეგმავს.

ჩვენი რუბრიკის სტუმარი, თბილი, მოსიყვარულე, მეგობრული, მიზანდასახული, სამართლიანი და უნიჭიერესი მომავალი მედიცინის მუშაკია.

-ანა, ამ რუბრიკაში ჩვენმა სტუმარმა, ნუცა გობეჯიშვილმა დაგასახელა და კითხვა დაგიტოვა, სად და რა საქმით იქნებით დაკავებული 10 წელიწადში?

-მივესალმები სრულიად საქართველოს,ბოლნისს და ბოლნისელებს,ჩემს თანატოლებს, ვულოცავ დამდეგ, 2023 წელს. ეს წელი ყველასთვის ყოფილიყოს განვითარების, ბედნიერების, ჯანმრთელობის, სიყვარულის, ხვავის და ბარაქის მომტანი. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას

კარიერულად, ვფიქრობ, ვიქნები მედიცინის სფეროში, მაგრამ ჩემი ცხოვრება ცეკვის გარეშე, არ იარსებებს.

-ვინ არის ანა გრძელიშვილი, მოგვიყევი შენს შესახებ, თუ გაქვს არჩეული მომავალი პროფესია?

-ვარ 13 წლის, მე-8ა კლასის მოსწავლე. მიზანდასახული და დამოუკიდებელი ადამიანი, არ ყოფილა ხელოვნების არც ერთი სფერო, სადაც მიზნისთვის არ მიმეღწია, ამას მარტო მე არ ვამბობ, ამას ამბობენ ჩემი პედაგოგები, ასევე ვარ მოცეკვავე. პროფესია ჯერჯერობით არ მაქვს გადაწყვეტილი, სავარაუდოდ, ქირურგობას ავირჩევ.

-გარდა იმ უცხო ენებისა, რასაც სკოლაში სწავლობ, დადიხარ ფრანგული ენის კურსზე, ენების შესწავლაც ხომ არ შედის შენს სამომავლო გეგმებში?

-ჩემთვის ფრანგული ენის შესწავლა უკავშირდება საფრანგეთში მოგზაურობას.

-თუ გაქვს თავისუფალი დრო და რას აკეთებ?

-ძირითადად, ჩემი დროის უდიდესი ნაწილი ეთმობა განვითარებას. ამჟამად ვწერ წიგნს, რომლის დაბეჭდვასაც ვაპირებ, რადგან არ მინდა ორწლიანი შრომა წყალში ჩავყარო. თავისუფალ დროს ვაკეთებ თმის სამაგრებს, ეს ჩემი პატარა ბიზნესია. მიყვარს სამზარეულოში ფუსფუსი, მიყვარს ცხობა. ერთხელ გამიჩნდა იდეა, პატარა ბავშვებისთვისაც გაკეთებულიყო „ბავშვთა მასტერშეფი“. მივწერე, მოეწონათ ჩემი აზრი და დამპირდნენ, თუ ოდესმე გაკეთდა მსგავსი გადაცემა, აუცილებლად მიმიწვევენ ქასთინგზე.

-რა როლი აქვს ცეკვას შენს ცხოვრებაში და რა წარმატებებს მიაღწიე ამ დროის განმავლობაში?

-ცეკვა ჩემთვის ყველაფერია, მაქვს სხვადასხვა ხარისხის დიპლომები, სიგელები. ვარ ევროპის და გიორგი რიჟამაძის სახელობის თასების მფლობელი. ამ ყველაფრის გამო, 2018 წლიდან მერიცხება სტიპენდია, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბოლნისის მერიას. ასევე ვარ ანსამბლ „თამარიონის“ მოცეკვავე, ცეკვა „ჯეირანის“ სოლისტი, ეს ცეკვა პირველად თურქეთის ქალაქებში რიზესა და ტრაპზონში ვიცეკვე.

-გარდა ცეკვისა, არაერთ წრეზე დადიხარ, მოგვიყევი, როგორ ანაწილებ დროს?

-დავდივარ ფორტეპიანოზე, წელს შვიდწლედს ვასრულებ, ასევე მოყვარულთა სიმღერის გუნდზე, ქართულ და ლათინო-ამერიკულ ცეკვებზე, თეატრში სადაც მაქვს ერთ-ერთი მთავარი როლი. გასულ წლებში დავდიოდი ქადრაკზე და ხატვის წრეზე. ჩართული ვარ ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრში არსებულ ახალგაზრდულ ჯგუფში, ასევე სკოლაში არსებულ „მეწარმეობის“ ჯგუფში, რაც შეეხება დროის განაწილებას, რთულია, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობ, არ დავკარგო და ხარისხიანად გამოვიყენო.

-რას ნიშნავს შენთვის წარმატება?

-ისეთ გრძნობას, რომელსაც ვერაფერს შევადრი. ეს არაერთხელ განმიცდია, როდესაც წარმატებას ვაღწევ, შესაბამისად ბედნიერი და უფრო თავდაჯერებული ვარ.

-რაზე ოცნებობს ანი?

-ვიმოგზაურო სხვა და სხვა ქვეყნებში და ვისწავლო, მქონდეს შესაძლებლობა, დავეხმარო მოხუცებს, ობოლ ბავშვებს და გავხსნა ცეკვის სტუდია, სადაც შევასწავლი მოზარდებს ლათინო-ამერიკულ და ქართულ ცეკვებს.

- რომ შეგეძლოს დაწერო ახალი კანონი, რომელიც ყველამ უნდა დაიცვას, რა იქნებოდა ის?

-ყველა ადამიანი დაწესებული კანონით უნდა მიდიოდეს საავადმყოფოში და იტარებდეს გამოკვლევებს, რაც თავს აგვარიდებს მძიმე ავადმყოფობებს.

-ზღაპრის გმირი რომ იყო, რომელი პერსონაჟი იქნებოდი?

- ანიმაცია „გაწითლებიდან“ მთავარი გმირი ვიქნებოდი. გოგო, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ წამს გადაიქცეს წითელ მელად, ის მთელ სკოლაშია პოპულარული.

-საყვარელი პოეტი, მწერალი, ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე....

- გალაკტიონ ტაბიძე, მედლინ რუ, ენიდ ბლაიტონი, ფენი ფლეგი. ფენი ფლეგის „შემწვარი მწვანე პომიდვრები“

-მომიყევი მეგობრებზე, რა როლი აქვთ მათ შენს ცხოვრებაში, რას აფასებ ყველაზე მეტად მათში?

-მეგობრები არიან ადამიანები, რომლებთან გატარებული დროც, დღის ბოლომდე მიმყვება და დადებითად ისახება ჩემს განწყობაზე, ასევე მათი ჩემთან სტუმრობა და ღამით დარჩენა ძალიან მახარებს. ვაფასებ ნდობას.

-ყველაზე მთავარი რჩევა მომავალი თაობებისთვის, რას ეტყოდი მათ?

- იკითხონ ბევრი წიგნი და წერონ ესეები.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?

-სადაც სიღარიბე არ იქნებოდა

-დაგვისახელე წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდი ჩვენს რუბრიკაში, დაუტოვე კითხვა.

რუბრიკის მომავალი სტუმრები იქნებიან გოჩა ხელიძე და თამარ რეხვიაშვილი. კითხვა: რა როლს თამაშობს თქვენს ცხოვრებაში ცნება „მოგზაურობა“.

ნონა ხუზმიაშვილი

ხელი არ უნდა ჩაიქნიოთ წარმატების მიღწევა, ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება

ფლორენციის უნივერსიტეტში რეზიდენტურის გასაგრძელებლად წასულს, ყველაფერი ისე არ დახვდა, როგორც ეგონა, საქირო გახდა დამატებითი შემოსავლების მოძიება. იყო უამრავი დაბრკოლება, 14-16 საათიანი მძიმე შრომა, ახალი და რთული გამოწვევების პირისპირ მარტო ყოფნა, თუმცა მოთნიმებით, ენერგიის შენარჩუნებით, მომავლის იმედითა და რწმენით, ბოლნისელი ეკატერინე შამფრიანი დღეს იტალიაში საუკუნოვანი და საკმაოდ პრესტიჟული სარესტორნო ქსელის „ოსტერია დე ფორტუნას“ არტიზანული პასტის, ტკბილეულისა და პურის მიმართულების ხელმძღვანელია.

რა გზა გაიარა პროფესიით ექიმმა და როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება ერთ დღეში, ამაზე ვრცლად გაზეთი „ბოლნისი“გიამბობთ.- ყველაფერი ისე არ დამხვდა, როგორც მეგონა, აუცილებლად მქირდებოდა შემოსავალი, ამიტომ, ენის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, სწავლა დავიწყე ენის შემსწავლელ სკოლაში, შემდეგი ეტაპი კი იყო სარესტორნო სივრცეში ჩართვა, პოზიცია - შეფის დამხმარე, რომელიც საკმაოდ საპასუხისმგებლო და შრომატევადია. ვერ ვიტყვი, რომ ადვილი იყო, ვერც იმას გეტყვით, რომ ყველა კეთილგანწყობით დამხვდა. იყო უამრავი სირთულე, მძიმე სამუშაო გრაფიკი, თუმცა ახლაც რომ იგივე ეტაპის გავლა მიწევდეს, არაფერს შევცვლიდი. მიუხედავად ამ სირთულეებისა, ყოველი დღე იყო ჩემთვის გამოწვევა და წარმატებასთან ერთი, წინ გადადგმული ნაბიჯი.

-ეკატერინე, დღეს შენ მუშაობ 100 წლიან რომაულ რესტორანში, რატომ გადაწყვიტე, პროფესიით ექიმმა, კულინარიულ სივრცეში მოგესინჯა ძალები?

-პირველ რიგში, პატარა ასაკიდან მიყვარდა სამზარეულოში ფუსფუსი და ზოგადად, როგორც ამბობდნენ, „კარგი კულინარი“ ვიყავი. რაც შეეხება, თუ როგორ მოვხვდი, მათი წარმომადგენლობა იყო საქართველოში, სვანეთში, მათ გასინჯეს ჩემი მომზადებული პასტა და ძალიან მოეწონათ, რის შემდეგაც დამიტოვეს სავიზიტო ბარათი, სწორედ იტალიაში ყოფნისას დავუკავშირდი მათ და საცდელი ვადით ამიყვანეს რესტორანში.

-ეკატერინე, რესტორანი „ოსტერია დე ფორტუნა“ ცნობილია თავისი საფირმო და საუკუნოვანი ტრადიციული კერძებით, ეს ყველაფერი აიხსნება იმითაც, რომ მათ იტალიაში არა ერთი სარესტორნო ქსელი აქვთ, როგორ ფიქრობ, ადვილი იყო იქ მოხვედრა და შემდეგ, საპასუხისმგებლო პოზიცია?

-რა თქმა უნდა ძალიან რთულია მუშაობდე და ამზადებდე კერძებს, რომლის მენიუც 100 წლის უკან შედგა. მინდა აღვნიშნო, რომ რომაულ რესტორანში, საუკუნის მანძილზე, არც რამე კერძი დამატებულა და არც რეცეპტი შეცვლილა, ყველაფერი ისე ზედმიწევნით მზადდება, როგორც გახსნის დროს, პასტას ხელით ვამუშავებთ, რომელიც საკმაოდ შრომატევადია. ამ სარესტორნო ქსელში შინაგანაწესი არ ითვალისწინებს რაიმე სახის ცვლილებას და მოდერნიზებას. სწორედ, ამიტომ გვყავს დიდი მომხმარებელი.

-ეკატერინე, არტიზანული პასტის, ტკბილეულისა და პურის მიმართულების ხელმძღვანელის გარდა, როგორც ვიცი, სარესტორნო ქსელის გახსნაც გევალება.

-მე და შეფ ლუკას გვაქვს ჩვენი სარესტორნო სივრცის მასწავლებლის სტატუსი და ყველა ახალი თანამშრომელი, გადამზადებას კონკრეტულ ნაწილში გადის ჩვენთან, და ყველა ახალი ობიექტის გახსნა ჩვენ გვევალება.

-ეკატერინე, შენი ცხოვრება უცხოეთში რადიკალურად შეიცვალა, გაგვიმხელ წარმატების ფორმულას, რომელიც დაგეხმარა თავი დაგემკვიდრებინა ცნობილ რომაულ რესტორანში?

-ყოველთვის ვამბობდი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ ყველას შეუძლია მიაღწიოს წარმატებას ნებისმიერ ქვეყანაში, თუ მას სწორად აქვს გზა არჩეული, უნდა იყო ცოტა მეამბოხე, უნდა გქონდეს მაქსიმალური მოთმინების უნარი, არ უნდა ჩაიქნიო ხელი იმედგაცრუებაზე და მეტი შემართებით შეეცადო მიუახლოვდე მიზანს.

-მე ვირჩევ ორაგულის პრინციპს, ვიცურო დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

-იღბალი, მაქსიმალური შრომა, გონებრივი შესაძლებლობებისა და ფიზიკური უნარების თანხვედრა და რეალიზაცია, რეალურ მოცემულობაში რაც გაქვს, არის ყველაზე დიდი იარაღი წარუმატებლობის წინააღმდეგ.

-ადამიანს თუ რაიმეს მიღწევა სურს ის აუცილებლად შეძლებს შრომის, მოთმინებისა და რწმენის დამხარებით.

მარინა გავაშელი

Davit Şerazadişvili Almaniya Federativ Respublikası parlamentinin üzvlərini qəbul edib

Almaniya Federativ Respublikası Parlamentinin Mədəniyyət və Media Komitəsinin nümayəndələri Gürcüstanda işgüzar səfərdədir. Almaniya parlamentinin üzvləri Bolnisi bələdiyyəsində də qonaq olublar. Almaniya Federativ Respublikasının Gürcüstandakı səlahiyyətli səfirinin müavini Tania Hut nümayəndə heyətinin üzvləri ilə birlikdə Bolnisidə olmuşdur. Səfər çərçivəsində alman parlamentarilər Bolnisi bələdiyyəsinin meri və merinin birinci müavini ilə birlikdə Bolnisi şəhərində alman mədəni irsi abidələrini ziyarət ediblər. Cənubi Qafqazda Alman Mədəni İrsinin Mühafizəsi İttifaqının üzvü, memar Nestan Tataraşvili Bolnisi şərabçılığına dəstək proqramı çərçivəsində "Aremji" tərəfindən alınmış gürcü-alman şərab evinin bərpa işləri və Alman memarlığı nümunələri ilə tanış olub. Parlamentarilər köhnə, bərpa olunmuş alman binasında yerləşən "Bolnis Mədəniyyət Mərkəzində" yepiskop Barai və Yevangelist-Lüteran kilsəsinin yerli üzvləri ilə də görüş keçiriblər. "Mən şadam ki, bu gün biz Şvabların yaratdığı şəhərdə, keçmiş Katarinafelddə Bundestaqın Mədəniyyət və Media Komitəsinin nümayəndələrini qəbul etdik. Almaniya Federativ Respublikası Avroatlantik məkana inteqrasiya prosesində bizim sadiq dostumuz və dəstəkçimizdir və hesab edirəm ki, bu səfər bu dəstəyin əyani sübutudur. Bolnisi şəhərində alman memarlığının bir çox nadir nümunələri yaşayıb, biz bu mədəni irsə qayğı ilə yanaşmağa çalışırıq, lakin bu prosesdə Almaniyanın dəstəyi də çox vacibdir. Ümid edirəm ki, alman parlamentarilərin səfəri iki ölkənin, Gürcüstan və Almaniyanın yaxınlaşmasına daha da töhfə verəcək", - deyə Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

"Daha yaxşı gələcək naminə qadınların sağlamlığının və hüquqlarının qorunmasının təşviqi" - layihənin xülasə təqdimatı

"Vətəndaş Bərabərliyi Platforması" təşkilatının sədri Samirə İsmayılova "Qadınların reproduktiv sağlamlığı, hüquqlarının müdafiəsi və səhiyyə xidmətlərindən istifadənin təmin edilməsi" mövzusunda keçirilmiş konfransa giriş sözü ilə başlayıb. Çıxış edənlər müxtəlif hekayələr və təcrübələrdən, regionda səhiyyə proqramlarının təbliğatının və monitorinqinin vacibliyindən danışıblar. Bolnisi bələdiyyəsinin meriyasının sosial və səhiyyə xidməti, uşaqların müdafiəsi və dəstək şöbəsinin müdiri Lela Kvirikaşvili ictimaiyyəti Bolnisi bələdiyyəsinin meriya xidmətində qadınlar üçün nəzərdə tutulan proqramlarla tanış edib. Diaqnozları, hansıları ki, bu mərhələdə bələdiyyə maliyyələşdirir. Konfransın sonunda Samirə İsmayılova "Daha yaxşı gələcək naminə qadınların sağlamlığının və hüquqlarının qorunmasının təşviqi" layihəsinin icmal təqdimatı ilə çıxış edib.Qonaqlara layihənin məqsədi, vəzifələr, benefisiarlar, həyata keçirilən layihənin nəticələrinin təhlili, müəyyən edilmiş çətinliklər və onların həlli yolları, yerli və mərkəzi hakimiyyət orqanlarından danışıb Sonda Gürcüstanın işğal olunmuş ərazilərindən olan məcburi köçkünlər, Əmək, Səhiyyə və Əhalinin Sosial Müdafiəsi Nazirliyi, Milli Skrininq Mərkəzi, Bolnisi Bələdiyyəsi Meriyası və Bolnisi Bələdiyyəsinin Gender Bərabərliyi Şurası tərəfindən hazırlanmış tövsiyələr ictimaiyyətə təqdim edilib. Layihə "Gürcüstanda Qadınlar Fondu"nun maliyyə dəstəyi ilə həyata keçirilib.

Vətəndaş cəmiyyətinin gücləndirilməsi layihəsi çərçivəsində görüç baş tutub

Bu gün Bolnisi bələdiyyəsinin böyük zalında cari ilin "Sosial, iqtisadi və siyasi həyatda bərabər və tam iştirak üçün vətəndaş cəmiyyətinin gücləndirilməsi" layihəsi çərçivəsində Avropa İttifaqı tərəfindən maliyyələşdirilən regional toplantı keçirilib. vətəndaş cəmiyyətinin gücləndirilməsi layihəsi çərçivəsində HEKS-EPER Gürcüstan tərəfdaş təşkilatları ilə birlikdə həyata keçirilir. Tədbirdə yerli özünüidarə, media və vətəndaş sektorunun nümayəndələri iştirak ediblər. Format çərçivəsində bələdiyyələr: Bolnisi, Marneuli və Dmanis nümayəndələri kiçik təqdimatlarla çıxış ediblər, daha sonra görüş dialoq rejimində davam edib, əsas müzakirə mövzusu Kvemo Kartlinin yerli, etnik nümayəndələrinin qarşısında duran vəzifələr və onların inklüziv inkişafının təşviqi olub.

Bolnisi Bələdiyyəsinin Meriyası ilə "Vətəndaş Bərabərliyi Platforması" arasında əməkdaşlıq memorandumu imzalanıb

Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili və "Vətəndaş Bərabərliyi Platforması"nın sədri Samirə İsmayılova əməkdaşlıq memorandumu imzalayıblar. Memorandum çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin Meriyası "Vətəndaş Bərabərliyi Platforması"na gənclərlə bağlı layihələrin həyata keçirilməsində köməklik göstərəcək. "Biz Vətəndaş Bərabərliyi Platforması ilə əməkdaşlıq memorandumu imzaladıq. Memorandum çərçivəsində vətəndaş bərabərliyi platforması bütün bələdiyyə ərazisində gənclərə istiqamətli layihələr həyata keçirəcək. Bolnisi Bələdiyyəsi gənclər siyasətinin gücləndirilməsi məqsədilə yaradılan layihələri hər zaman dəstəkləyəcək", - deyə Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

Kvemo Kartlidəki Xalq Müdafiəçisinin nümayəndəsi

Bolnisi Gender Şurasının təşkil etdiyi 16 günlük kampaniya çərçivəsində meriyanın konfrans zalında Xalq Müdafiəçisinin Kvemo Kartli üzrə nümayəndəsi Mariam Qvidiani yerli özünüidarəetmə orqanlarının nümayəndələri ilə görüşüb və qadınlara qarşı zorakılığın və məişət zorakılığının aradan qaldırılması üçün cavab mexanizmləri və qeyd olunan məsələyə İctimai Müdafiəçinin münasibəti haqqında danışıb. Kampaniya çərçivəsində Mariam Gvidian zorakılığın müxtəlif təriflərini, qurban risklərini, qoruyucu mexanizmləri və qabaqlayıcı tədbirləri açıq şəkildə müzakirə etdi. Görüş məlumat xarakterli olub və müzakirə rejimində davam edib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯიმ სამთოელის დღე აღნიშნა

17 დეკემბერს კომპანია არემჯიმ სამთოელის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გამართა. უკვე მე-4 წელია, რაც კომპანიაში მივიწყებული ტრადიცია აღდგა და 4000-ზე მეტ დასაქმებულთან ერთად, ყოველწლიურად ამ დღეს პროფესიული დღესასწაული - სამთოელის დღე აღინიშნება.

თეატრში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე კომპანიის მენეჯმენტმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად წლის 7 საუკეთესო თანამშრომელი გამოავლინა და მათ წლის სამთოელის საპატიო ჯილდო გადასცა.

ღონისძიებაზე კომპანიის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონი შუბითიძემ მოწვეულ სტუმრებს და კომპანიის თანამშრომლებს სიტყვით მიმართა და მათ მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის.

„თითოეულ თანამშრომელს ვულოცავ სამთოელის დღეს. 10 წელი გავიდა არემჯის დაფუძნებიდან და ჩვენ ძალიან გვიხარია ამ დღის, ასე საზეიმოდ აღნიშვნა. მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთხრებით ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი სიახლე გვაქვს როგორც წარმოების გადაიარაღების და განახლების, ასევე ეკოლოგიის თუ სოციალური საკითხების გაუმჯობესების კუთხით. ვფიქრობ ეს სასიკეთო ცვლილებები გვაძლევს სტიმულს, რომ ვიზეიმოთ და მივულოცოთ ერთმანეთს სამთოელის დღე“ - აღნიშნა არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონი შუბითიძემ.

2022 წლის სამთოელები გახდნენ: ლუიზა გვარაძე - გამამდიდრებელი ფაბრიკის ფლოტატორი; ემზარ ყაფლანიშვილი - მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციის ექსკავატორის მემანქანე; ალბერტ კუსიანი - სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სამსახურის უფროსის მოადგილე; დაზმირ ზურაბიშვილი - წყალქცევის უბნის უფროსი ოსტატი; ნინა პანიანი - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმეთა მწარმოებელი; შოთა ონიანი - მთავარი გეოლოგიური სამსახურის დასინჯვის გეოლოგი; მოხუბათ იბრაგიმოვი - ავტოტრანსპორტის სარემონტო საამქროს ზეინკალ-ხარატი. - ეს ადამიანები არაერთი ათწლეულია მუშაობენ კომპანიაში და საკუთარი წვლილი შეაქვთ მის განვითარებაში.

„40 წელზე მეტია გეოლოგიის პროფესიით ვმუშაობ. არემჯიში რამდენიმე ათეული წელია ვიმყოფები და ჩემი პროფესიით ვმუშაობ. ჩემთვის მოულოდნელი იყო წლის სამთოელად, რომ დამასახელეს. გახარებული და ბედნიერი ვარ, რომ კომპანიამ დააფასა ჩემი ამდენ წლიანი სამუშაო გამოცდილება. მინდა ყველა სამთოელს და ჩვენი კომპანიის წარმომადგენელს წარმატება ვუსურვო და მივულოცო სამთოელის დღე.“ - შოთა ონიანი მთავარი გეოლოგიური სამსახურის დასინჯვის გეოლოგი.

სამთოელის დღე, 2019 წელს, არემჯის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, კორპორატიულ დღედ დაწესდა და კომპანიაში დასაქმებული 4000-ზე მეტი თანამშრომლისთვის უქმე დღედ არის გამოცხადებული.

ალბერტ კუსიანი

არემჯის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სამსახურის უფროსის მოადგილე

ალბერტ კუსიანი, 17 დეკემბერს - სამთოელის დღეს, წლის საუკეთესო თანამშრომლად დასახელდა და სამთოელის ჯილდო გადაეცა. ის ორმოც წელზე მეტია კომპანია არემჯიში მუშაობს და მისი საქმისადმი სიყვარული ძირითადი მიმართულებაა. თვლის, რომ სამთო საქმიანობა პროფესიის მიუხედავად ყველას აერთიანებს. ეს ერთი დიდი ოჯახია, სადაც თითოეული თანამშრომელი ცდილობს გამოცდილება, უნარ-ჩვევები კომპანიის წინსვლას და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას მოახმაროს. პროფესიით არქიტექტორმა, 1976 წელს, დაბა კაზრეთის სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა. კომპანიაში მუშაობა კი 1982 წელს დაიწყო. ამჟამად სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციას იკავებს და შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციას ამზადებს.

„სამსახური ჩემთვის შემოსავლის წყაროსთან ერთად განვითარების საშუალებაა. ვცდილობ ჩემი წვლილი შევიტანო კომპანიის წინსვლაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად შეიცვალა კომპანიის ხელმძღვანელობის მიდგომა თანამშრომლების და კომპანიის მიმართ, რამაც საერთო ჯამში, კომპანიის წინსვლა გამოიწვია. ახალგაზრდა თაობას მინდა ვურჩიო, რომ არასდროს შეწყვიტონ სწავლა და უყვარდეთ ის საქმე, რომელსაც აირჩევენ“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.